

ვეტოს უფლების გამოყენება

არაკონსტიტუციურ ცვლილებებს ძალაში ტოვებს

საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმა - კანონი მიღებულია, შემდგომი ნაბიჯები

2016 წლის 14 მაისს საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის პროექტი მიიღო. კანონის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს როგორც იურისტებმა, ისე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა. ცენტრი უერთდება აღნიშნულ პროტესტს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული რეფორმა სერიოზულ პრობლემას უქმნის საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურ ფუნქციონირებას და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

აქვე გთავაზობთ კანონის მიღების შემდეგ მოსალოდნელი სამართლებრივი პროცედურებისა და მსვლელობის შესაძლო სცენარს, რომლის რეალურად განხორციელების შემთხვევაშიც, აღნიშნული ცვლილებების წინააღმდეგ მოქმედების რესურსი მნიშვნელოვნად შემცირდება.

კვლევაზე მუშაობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური კვლევების ცენტრის მკვლევარი: **ალიკა კუპრავა**

2016 წლის 14 მაისს საქართველოს პარლამენტმა, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეიტანა ცვლილებები. ცვლილებებიდან გამოვყოფთ სამ საკითხს, რომლის თანახმად: მოსამართლეებს, საკუთარი 10 წლიანი უფლებამოსილების ამოწურვის ბოლო 3 თვის განმავლობაში, არ შეუძლიათ ახალი სარჩელის განხილვა, ორგანულ კანონთან დაკავშირებით დავებს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი და ასევე, პლენუმი უფლებამოსილია, საქმე არსებითად განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება სულ ცოტა 7 წევრი.



კანონპროექტის პრეზიდენტისთვის გადაცემა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 169-ე მუხლის მიხედვით, მიღებული კანონპროექტი 7 დღის ვადაში, სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ, გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს.

საქართველოს პარლამენტი, სავარაუდოდ, სრულად გამოიყენებს რეგლამენტით განსაზღვრულ ვადას და ამ კანონპროექტს პრეზიდენტს გადაუგზავნის 21 მაისს.



პრეზიდენტმა გამოიყენა ვეტოს უფლება

პრეზიდენტი 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს (საქართველოს კონსტიტუცია: 68-ე მუხლის მე-2 პუნქტი)

საქართველოს პრეზიდენტმა გამოიყენა ვეტოს უფლება და მოტივირებული შენიშვნებით უკან დაუბრუნა პარლამენტს 10 დღეში, 31 მაისს.



მოტივირებული შენიშვნების განხილვა და დაძლევა

პარლამენტის რეგლამენტის 171-ე მუხლით საკანონმდებლო ორგანოს 15 დღიანი ვადა აქვს მოტივირებული შენიშვნების განხილვისათვის და ამ ვადის მაქიმალურად გამოყენებას ეცდება. პარლამენტი სავარაუდოდ არ გაიზიარებს პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს და ასეთ შემთხვევაში, ვეტოს დაძლევა არ უნდა გაუჭირდეს.

პარლამენტს პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად 76 დეპუტატის მხარდაჭერა სჭირდება, როდესაც ცვლილებების მიღებას 81 პარლამენტის წევრმა დაუჭირა მხარი.

ეს პროცესი 15 ივნისამდე გაიწელება.



ვეტო დაძლეული კანონპროექტის პრეზიდენტისთვის ხელმოსაწერად გადაგზავნა და კანონის გამოქვეყნება პარლამენტის თავმჯდომარის მიერ

საქართველოს პარლამენტი ვეტო დაძლეულ კანონპროექტს ხელმოსაწერად უგზავნის პარლამენტს 5 დღის ვადაში (20 ივნისი)

საქართველოს პრეზიდენტს აქვს 7 დღე (27 ივნისამდე) ხელმოსაწერად და კანონის გამოსაქვეყნებლად. მოვლენები თუ აღნიშნული სცენარით განვითარდა, პრეზიდენტი ამ პროცესების ლეგიტიმაციაში მონაწილეობას არ მიიღებს და ხელს არ მოაწერს კანონპროექტს.

ამის შემდეგ, 5 დღის ვადაში (2 ივლისი) კანონპროექტს ხელს აწერს და საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.



კანონის ძალაში შესვლა

კანონპროექტის თანახმად, ცვლილებები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, კანონპროექტის ძალაში შესვლა გამოქვეყნებისთანავე გულისხმობს მის ძალაში შესვლას გამოქვეყნების დღეს, 24 საათზე.

მოცემული სცენარით, აღნიშნული ცვლილებების პროექტი ძალაში შევა 2 ივლისს.



კანონის ძალაში შესვლის შედეგები

- მოსამართლეებს, საკუთარი 10 წლიანი უფლებამოსილების ამოწურვის ბოლო 3 თვის განმავლობაში, არ შეუძლიათ ახალი სარჩელის განხილვა:
 - ცვლილების ძალაში შესვლის მომენტისათვის, საკონსტიტუციო სასამართლოს 4 წევრი (გიორგი პაპუაშვილი; კონსტანტინე ვარძელაშვილი; ქეთევან ერემაძე და ოთარ სიჭინავა) იქნება საკუთარი უფლებამოსილების ბოლო 3 თვიანი ვადაში.
- ორგანულ კანონთან დაკავშირებით დავებს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი:
 - ამ ჩანაწერის ამოქმედებით, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებების კონსტიტუციურობის თაობაზე მსჯელობა მოუწევს პლენუმს.
- პლენუმი უფლებამოსილია საქმე არსებითად განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება სულ ცოტა 7 წევრი:
 - ამ ცვლილების ძალაში შესვლით, პლენუმი, მომდევნო სამი თვის განმავლობაში, უმოქმედოდ რჩება

დასკვნა: მოვლენები თუ სქემაში მითითებული სცენარით განვითარდება, სასამართლოს მოქმედი შემადგენლობა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებს ვერ განიხილავს. განხორციელებული ცვლილებებით, ამ საკითხზე დავა პლენუმის განსახილველია, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს, თუ მას 7 მოსამართლე ესწრება. ამ დროს, ძალაში იქნება შესული უფლებამოსილების ბოლო 3 თვიან ვადასთან დაკავშირებული რეგულაცია, რაც 4 მოსამართლეს პლენუმის საქმიანობაში მონაწილეობის უფლებას არ აძლევს და პლენუმს უფლებამოსილების გარეშე ტოვებს.